საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მექანიზმები და პროცედურები

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
28.07. 2025, #10

სარჩევი

შესავალი 3

მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა 4

მუხლი 2. უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები 6

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები 6

მუხლი 4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, გამოყენების მიზნები და სახეები 7

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ინსტრუმენტები 9

მუხლი 6. ხარისხის კვლევის პოლიტიკა, სამუშაო პროცესის დაგეგმვა და პროცედურები 12

მუხლი 7. ხარისხის კვლევის მეთოდები 13

მუხლი 8. ხარისხის კვლევის განხორციელების სტრატეგია 13

მუხლი 9. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება ... 15

მუხლი 10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშგება და შედეგების გამოყენება 15

დანრთები 17

შესავალი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, მექანიზმების, ხარისხის კვლევების ჩატარების პოლიტიკისა და პროცედურების ძირითად დოკუმენტს. მასში მოცემულია ინფორმაცია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ, მოცემულია ის ძირითადი პრინციპები, სტანდარტები, პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს, რამდენადაც უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება და ჯანსაღი გარემოს შექმნა საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის.

1.2. ხარისხის უზრუნველყოფის წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სტანდარტების, მექანიზმების და პროცედურების შესახებ, რათა ყველა დაინტერესებული პირის მიერ მოხდეს მათი ერთნაირი ინტერპრეტაცია და გაგება, უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციისა და პროცედურების გამჭვირვალობა, ღიაობა, სანდოობა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა, რაც თავის მხრივ, ხარისხის მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს.

1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რადგან თავისი მისიის შესასრულებლად იგი უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლის მაღალ ხარისხს. ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები კურსდამთავრებულთა უნარებისა და კომპეტენციების მიმართ და მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას.

1.4. უნივერსიტეტში არსებობს ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვების მექანიზმები, რომელთაგან ერთერთია ხარისხის კვლევები სწავლება - სწავლის, კვლევის, საზოგადოებაში ჩართულობის, მართვის პროცესების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გულისხმობს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას, ასევე ინსტიტუციურ ეფექტიანობას. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან და მთავარ როლს ასრულებენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი.

მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

1.2. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიით დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, წესების და პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და შეფასებასა და აღნიშნულ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის. ჩართულობა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას.

1.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების შიდა სტანდარტების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს. ადამიანური რესურსების ნაწილში პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის შერჩევის ვალიდური და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავებას.

1.3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანამათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესებს და წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასების საფუძველზე მის მუდმივ განვითარებას;

1.4. ფინანსური და ბიუჯეტირების პოლიტიკის და პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რომლის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტის წარმატებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ფუნქციონერება და განვითარება, როგორც მიმდინარე პერიოდში, ისე პერსპექტივაში და ამავდროულად ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ფინანსური, წარმოებისა და შრომითი რესურსების ეფექტური მართვის მექანიზმის განვითარების გზით.

1. 5. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გარე შეფასების გამოყენებას, როგორც ადგილობრივ საკანონმდებლო დონეზე (ავტორიზაცია და აკრედიტაცია), ასევე, საერთაშორისო დონეზე (უცხოელი ექსპერტის მოწვევა და სხვ.), რათა შეაფასოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურობა, ასევე, დასახოს ახალი პერსპექტივები და უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი პროცესი, რომელიც არ მთავრდება გარედან უკუკავშირის, ანგარიშის მიღების ან უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე შემდგომი პროცესებით. დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხის გარე შეფასების პროცესის შედეგად მიღებული შეფასების გათვალისწინებას მუდმივი განვითარებისთვის.

1.6. აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, აგრეთვე, შეფასების შედეგების გამოყენებას პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის, რაც

უზრუნველყოფს პროცესების მაღალკვალიფიციური პერსონალით წარმართვას. შეფასების მიზანია პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების იდენტიფიცირება და მოტივაციის გაზრდა. ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარების მახრდაჭერას (ტრენინგის ორგანიზება, სერტიფიცირება, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა).

1.7. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების და პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მათ შორის სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, ასევე დამოუკიდებელი, გარე შემფასებლების ჩართულობას. შეფასება უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას, სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებას. უზრუნველყოფს პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ყველა შესაბამისი მხარისთვის.

1.8. სტუდენტებისთვის მხარდამჭერი სერვისების და რესურსების ფართო სპექტრის შემუშავებას, დანერგვას და მუდმივ გაუმჯობესებას. აღნიშნული ითვალისწინებს, როგორც მატერიალურ რესურსებს (ბიბლიოთეკა, სასაწავლო რესურსები, სივრცეები შემოქმედებითი აქტივობისთვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა), ასევე, მხარდაჭერას კონსულტაციების სახით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ფარგლებში უზრუნველყოფს რესურსების შეფასებაში დაინტერესებული პირების ჩართვას, შეფასების შედეგებს იყენებს შემგდომი გაუმჯობესებისთვის. უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. მხარდამჭერი სერვისების მიწოდებაში ადმინისტრაციული და მხარდამჭერი სერვისების თანამშრომლების როლი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, უნივერსიტეტი აქცენტს აკეთებს მათ კვალიფიკაციაზე.

1.9. კონტინგენტის დაგეგმვის პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის რესურსების შეფასებას და სამიზნე ნიშნულებს.

1.10. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი კვლევითი ნაშრომების შექმნის ხელშეწყობის მიზნით კვლევის დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვას, სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულ პირებში ნდობის ჩამოყალიბებას;

1.11. პერსონალის აკადემიურ თავისუფლებასა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გაზიარებას;

1.12. რელიგიური, ეთნიკური კუთვნილების, შეხედულებების თავისუფლებას. არ უშვებს სქესის, სოციალური წარმოშობისა თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციას.

1.13. ხარისხის მართვა არის უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა.

1.14. საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.
1.15. უნივერსიტეტის სტრუქტურა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიმართულებების შესრულებას.

მუხლი 2. უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები

2.1. ხარისხის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორია უნივერსიტეტის მისია და სტრატეგია.
2.2. უნივერსიტეტის რეგულაციები - ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის აღწერა და ყველა აქტივობის რეგულირების წესი, რაც ხელს უწყობს მართვის ეფექტიან განხორციელებას.
2.3. საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინი, შინაარსი და განხორციელება - პროგრამის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და განახლების გამართული პროცედურები, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით პროგრამების უზრუნველყოფა.
2.4. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი - სტუდენტების რაციონალური სასწავლო ბაზის შექმნა, შეფასების გამჭვირვალე და რელევანტური სისტემა, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და შესაბამისი რეაგირებები.
2.5. სტუდენტების ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩართვა - სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სასერტიფიკატო პროგრამებში ჩართვა, სტაჟირება და ა. შ.
2.6. სტუდენტების მოსწრება, შეფასება და აკადემიური ხარისხის მინიჭება - გამჭვირვალე შეფასების სისტემა, აკადემიური მოსწრების ანალიზი, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მექანიზმები.
2.7. უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა - რესურსების შექმნა, აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, კვლევების დაფინანსების გამჭვირვალე სისტემა.
2.8. სტუდენტური სერვისები - სტუდენტთა მომსახურება, კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობა კონსულტაციებისა და ვაკანსიების შეთავაზების გზით, სპორტული და კულტურული აქტივობების შეთავაზება.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები

3.1. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში იქმნება:
ხარისხის პოლიტიკა > ხარისხის მექანიზმები >პროცედურები და რეგულაციები > შეფასების ფორმები > რეაგირების ფორმები.
3.2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით.

3.3. დოკუმენტების ერთობლიობა ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ვალდებულებას ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი გაუმჯობესების შესახებ. იგი ასახავს ძირითადი პროცესების პოლიტიკასა და პროცედურებს, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის მართვის ჰოლისტურ და ინტეგრირებულ ხედვას.
3.4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში გამოყენებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და ფართოდ გამოიყენება საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ.

3.5. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" ციკლის (PDCA) პრინციპით:
ა) დაგეგმე - Plan: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვით, რაც გულისხმობს შეფასებისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების პროცესების დაგეგმვას;
ბ) განახორციელე - Do: დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელება, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას; მიღებულ შედეგებზე რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას;
გ) შეაფასე - Check: განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება, ცვლილებების შედეგად მიღებული რეზულტატის შეფასება, შესაბამისად, განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, ანუ, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება;
დ) განავითარე - Act: შეფასების შედეგების საფუძვლეზე საჭირო ცვლილებების განხორციელება, რაც გულისხმობს გამოყენებულ მექანიზმებთან, მიდგომებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების და ა.შ. გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში განახლებას პროცესის დახვეწისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

3.6. ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების უზრუნვეყოფის მიზნით აუცილებელია:
ა) საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და რეაგირება, რაც გულისხმობს შეფასებასა და ანალიზს, რეკომენდაციების შემუშვებას და რეაგირების მონიტორინგს.
ბ) გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასება;
გ) ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის შეფასება.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, გამოყენების მიზნები და სახეები

4.1. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვის ნაწილს, რადგან ამ მექანიზმების საშუალებით ხდება ინსტიტუციის ძირითადი საქმიანობის

შესაბამისობაში მოყვანა უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებულ სტრატეგიულ მიზნებთან.
4.2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებისა და გამოყენების მიზანია:
ა) უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
ბ) უნივერსიტეტის საქმიანობის დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
გ) უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
დ) რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა;
ე) შედეგების მუდმივი გაუმჯობესება.
4.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნულის მიღწევის მიზნით, თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან/თანამდებობის პირთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

4.4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციურ ჩარჩოს განსაზღვრავს უნივერსიტეტის მისია, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები და ყველა დაინტერესებული მხარე, რომელთაც წვლილი შეაქვთ და მონაწილეობენ განათლების ხარისხის განვითარებაში.

4.5. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ზრუნავს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის და თანამშრომლობს საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართულ ყველა მხარესთან.

4.6. ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია გადანაწილებულია სხვადასხვა დაინტერსებულ მხარეებზე. მათ შორის ძირითად მხარეებს წარმოადგენს - უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სწავლების განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. უნივერსიტეტს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ასევე ჩართულია კურსდამთავრებულები და დამსაქმებელთა წარმომადგენლები.

4. 7. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს შიდა და გარე შეფასებას, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას:
ა) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები - უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში მიღებული შეფასებები (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); საერთაშორისო საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ინსტიტუციების შეფასება; ინსტიტუციის, ასვე, საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება მოწვეული ექსპერტების მიერ. შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

4.8. ხარისხის შიდა შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მექანიზმების მეშვეობით.

4.9. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედ ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით.

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ინსტრუმენტები

5.1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:
ა) სწავლა-სწავლება და სტუდენტთა მხარდაჭერა - საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება, ანალიზი და რეაგირება;
ბ) კვლევა - კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი პროდუქტიულობის შეფასება, ანალიზი და რეაგირება; ასევე საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის შეფასება;
გ) მართვის ეფექტიანობა - უნივერსიტეტის მართვის პროცესების შეფასება, ანალიზი და რეაგირება.
(იხ. დანართი 1).

5.2. სწავლება-სწავლისა და სტუდენტთა მხარდაჭერის პროცესის მუდმივი გაუმჯობესებისათვის შიდა შეფასების პროცედურები მოიცავს:
ა) ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების მიერ თითოეული სასწავლო კურსის შეფასება. ამ შეფასებით ხდება სტუდენტთა შეხედულებების დადგენა კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე, კურსის სირთულეზე, სასწავლო რესურსებით კმაყოფილებაზე და სწავლება -სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის საჭირო სხვა ასპექტებზე;
ბ) ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების **სწავლის შედეგების შეფასების** ანალიზს, რომელსაც ახორციელებს ფაკუტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამ შეფასების მიზანია სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი აკადემიური მხარდაჭერის საჭიროებების დადგენის მიზნით;
გ) აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სტუდენტთა კმაყოფილების ყოველწლიურ კვლევას;
დ) სამ და ექვს წელიწადში ერთხელ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარსადგენად თვითშეფასების განხორციელება (6 წელიწადში ერთხელ), რომელიც ეფუძნება პროგრამის შუალედური შეფასების შედეგებს და მის შემდეგ პროგრამის განხორციელებასა და შეფასებაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებულ უკუკავშირს.

5.3 კვლევითი/ შემოქმედებითი საქმიანობის ყოველწლიური შეფასება: შეფასებისთვის უნივერსიტეტი იყენებს კვლევის პროდუქტიულობის მონაცემებს:
ა) პუბლიკაციების / შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა წლის განმავლობაში და მათი ხარისხი, პუბლიკაციების ციტირების ანალიზი;
ბ) კვლევების მიმართულებით თანამშრომლობითი ინიციატივები/პროექტები, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
გ) ლექტორების და სტუდენტების სამეცნიერო - კვლევით აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებლი.
დ) შეფასებისთვის ასევე გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსი კვლევებისათვის, გარე დაფინასების წყაროების მოძიების მაჩვენებლი.
გ) აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის შეფასების მიზნით უნივერსიტეტი აანალიზებს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ტრეინინგების მონაწილეთა (სტუდენტების და პერსონალის) რაოდენობას, იყენებს მონაწილეთა უკუკავშირს ამ ტრეინინგ პროგრამების ეფექტურობაზე, აანალიზებს მონაცემებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის (მათ შორის პლაგიატის) შემთხვევებზე და მათზე რეაგირების ეფექტურობას, იყენებს ფოკუს-ჯგუფებს სტუდენტებთან და პერსონალთან რაც საშუალებას იძლევა უფრო ღრმად იქნას შესწავლილი მათი წარმოდგენები და გაგება აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ.
დ) კვლევის შედეგებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან.

5.4. საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის შეფასებას (3 წელიწადში ერთხელ), რაც გულისხმობს უნივერსიტეტის მესამე მისიით გათვალისწინებული საქმიანობის შეფასებას და რეგულრდება დოკუმენტით „უნივერსიტეტის მესამე მისია - სტრატეგია, ძირითადი მიდგომები და განხორციელებული საქმიანობის შეფასების პრინციპები“. უნივერსიტეტის მესამე მისიით გათვალისწინებული საქმიანობა სცდება უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული სწავლებისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ფარგლებს და გულისხმობს უნივერსიტეტის საზოგადოებაში ჩართულობას, თანამშრომლობას სხვადასხვა სექტორის ორგანიზაციებთან შემოქმედების, კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით, რაც ორიენტირებულია ამ სექტორებისა და ზოგადად, საზოგადოების საჭიროებებზე: ცოდნის გავრცელება (საჯარო ლექციები, ვორკშოფები, ტრენინგები, მოკლევადიანი კურსები); საზოგადოებრივი ღონისძიებები: კონფერენციები, დისკუსიები, კულტურული საღამოები, საზოგადოების ჩართულობა და სხვ.

აღნიშნული მექანიზმების განხორციელება ფასდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული ანგარიშები თავის მხრივ ფაკულტეტების, ინსტიტუტისა და სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით დგება.

5.5. მართვის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები მოიცავს:

ა) უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგს, რომელსაც ასრულებს სტრატეგიული გეგმის შესრულების პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ჯგუფისგან მიღებული ანგარიშის საფუძველზე. აღნიშნული ხორციელდება შესაბამისი ფაკულტეტებისა და/ან სტრუქტურული ერთეულების მიერ, ხოლო მიღებული წლიური ანგარიშები კი წარედგინება აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს;

ბ) სტუდენტების კმაყოფილების ყოველწლიურ კვლევას უნივერსიტეტში არსებული მხარდაჭერის მექანიზმებით (აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის, ინტეგრაციის, კარიერული მხარდაჭერის სერვისებით და სხვა.);

გ) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური კვლევა, რომელთა საფუძველზეც ხდება სტრუქტურული ერთეულების ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი არეების გამოვლენა;

დ) ინტერნაციონალიზაციის შეფასებას 3 წელიწადში ერთხელ, რომელიც ეფუძნება შემდეგი ასპექტების შეფასებას - პროგრამებში ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარების და კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობების შეფასება, საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები, საერთაშორისო მობილობის ხელმისაწვდომობა სტუდენტებისა და პერსონალისათვის (მობილობაში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალის პროცენტულობა), პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, სტუდენტების კმაყოფილების დონე საერთაშორისო გამოცდილებების ხელმისაწვდომობის კუთხით, საერთაშორისო თანამშრომლობით სწავლების, შემოქმედების, კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით და მათი გავლენის შეფასება.

ე) ინოვაციურ მიდგომებს სწავლების, შემოქმედებითი პრაქტიკის, კვლევითი საქმიანობის ინოვაციებისა და კულტურის სფეროში მეწარმეობის ხელშეწყობის შეფასებას სამ წელიწადში ერთხელ, რაც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებში კურსების რაოდენობის დადგენას, რომლებიც დაკავშირებულია შემოქმედებით აქტივობასთან, კულტურის სფეროში მეწარმეობასა და ინოვაციებთან, აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელიც ჩართულია ამ კურსების განხორციელებაში, სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ შემოქმედებით და კვლევით აქტივობასთან დაკავშირებულ ექსტრა-კურიკულურ აქტივობებში, უნივერსიტეტის თანამშრომლობის შეფასებას ორგანიზაციებთან, რომლებიც მხარს უჭერენ როგორც შემოქმედებით და კვლევით აქტივობას, ისე მეწარმეობას კულტურის სფეროში.

ვ) ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების მექანიზმების შეფასება 3 წელიწადში ერთხელ, რომელიც ეფუძნება სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას ელექტრონული სერვისებითა და მართვის ელექტრონული სისტემებით, ასევე მათ საჭიროებების კვლევას ამ სისტემებთან მიმართებით, ელექტრონულ სისტემებთან სტუდენტებისა და პერსონალის ინტერაქციის სიხშირის შეფასებას ძლიერი და განსავითარებელი მხარეების დადგენის მიზნით.

ზ) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებას, ახალი მექანიზმის შემთხვევაში მექანიზმის განხორიცელების დასრულებისთანავე, მოქმედი მექანიზმის შემთხვევაში 6 წელიწადში ერთხელ; აღნიშნული შეფასების ფარგლებში ხდება გამოყენებული მექანიზმების სანდოობის, ვალიდურობისა და მათი ზოგადი გავლენის შეფასება, რაც მოიცავს გამოკითხვაში მიღებული პასუხების რაოდენობის მაჩვენებლის გათვალისწინებას, ასევე შეფასებას იმისა, თუ რამდენად ხდება რეაგირება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებით მიღებული შედეგების საფუძველზე.
თ) ფინანსური ეფექტიანობის შეფასებას (ხორციელდება თითოეული სტრატეგიული ციკლის დასრულებისას), რომლის მიზანია უნივერსიტეტში ფინანსური რესურსების მართვის შეფასება და ოპტიმიზაცია, ფინანსური რესურსების ეფექტური განაწილების და მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, რაც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის გრძელვადიანი მიზნების მხარდასაჭერად.

მუხლი 6. ხარისხის კვლევის პოლიტიკა, სამუშაო პროცესის დაგეგმვა და პროცედურები

6.2. PDCA ციკლი არის ძირითადი პრინციპი განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ციკლი არის უწყვეტი პროცესი, რომელიც იძლევა როგორც ინფორმაციის მიღების, ასევე დაგეგმილი ქმედებების განხორციელების საშუალებას.

6.3. პროცესების შესასწავლა გულისხმობს კვლევის ჩასატარებლელი რამდენმე ეტაპის გავლას. კვლევის ფაზებია:
ა) კვლევის დიზაინის და კვლევის კითხვარის შემუშავება;
ბ) რაოდენობრივი კვლევა (სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქრუტირებული კითხვარი);
გ) თვისებრივი კვლევა (ფოკუს ჯგუფების / ჩაღრმავებული ინტერვიუები);
დ) კვლევის შედეგებზე ანგარიშის მომზადება;
ე) შედეგების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარება;
ვ) გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

მუხლი 7. ხარისხის კვლევის მეთოდები

7.1. ხარისხის კვლევების განხორციელებისას გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.
7.2. რაოდენობრივი კვლევის ჩატარების დროს ივსება სტრუქტურირებული ან ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ არის შემუშავებული დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.
7.3. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის შევსებისას მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კითხვები, დებულებები ან პუნქტები სრულიად მკაფიოდაა ასახული, რესპონდენტს აქვს შესაძლებლობა შეარჩიოს პასუხი ან კომენტარი გააკეთოს ისე, როგორც თავად მიიჩნევს საჭიროდ.
7.4. კითხვარი სტრუქტურირებულია, რომელიც მოიცავს მხოლოდ დახურულ შეკითხვებს. დახურული შეკითხვების შემთხვევაში, მოცემულია პასუხის რამდენიმე ვარიანტი და რესპონდენტი პასუხს ირჩევს მხოლოდ არსებული ვარიანტებიდან. უნივერსიტეტის სტრუქტურირებული კითხვარის შემთხვევაშიც რესპოდენტს შესაძლებლობა აქვს თავისუფალ ველში დააფიქსიროს დამატებითი მოსაზრება.
7.5. თვისებრივი კვლევის დროს გამოიყენება ფოკუს ჯგუფის მეთოდი, რაც გულისხმობს კვლევაში ჩართულ მონაწილეებთან გამოსაკვლევი თემის დეტალურად შესწავლას. მონაწილეები ღიად აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებას საკვლევ თემაზე. ფოკუს ჯგუფის ჩატარება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხების სიღრმისეული შესწავლის საჭიროება დგება.
7.6. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე კეთდება ანალიზი, აქტუალური საკითხების მიხედვით შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება. კვლევის ანგარიშის მომზადების პერიოდია კვლევის დასრულებიდან არაუმეტეს ორი თვისა.

მუხლი 8. ხარისხის კვლევის განხორციელების სტრატეგია

8.1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით შეფასებები ხორციელდება უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტში: სწავლა-სწავლება და პროცესები, რომელიც აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამებს, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და სასწავლო პროცესს; კვლევა და საზოგადოებაში ჩართულობა; ადმინისტრირებისა და მართვის პროცესები.

8.2. ხარისხის კვლევის სტრატეგიული ჩარჩო აგებულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამშრომელთა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა კმაყოფილების კვლევებზე. კვლევის დასრულების შემდეგ ხდება მონაწილეთა ინფორმირება მიღებული შედეგების შესახებ.

8.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები ეხება სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და სხვა. (იხ. დანართი 2.)

8.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები ეხება სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებას, რომელიც ემყარება თვითშეფასების პრინციპს. პროცესი მოიცავს შედეგების ანალიზსა და რეაგირებას.

პროცესში სახელმძღვანელო დოკუმენტებია

სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი და

დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფთა სავალდებულო ატესტაცია და ა.შ.

დოკუმენტები არეგულირებს აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის, პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს. პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასება ხელს უწყობს სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, შემოქმედებითი ინიციატივის გაღვივებას, რაც მიმართულია უნივერსიტეტის განვითარებისა და ხარისხის ამაღლებისკენ. წესი ითვალისწინებს წინასწარ გაცხადებულ შეფასების პროცედურებს და კრიტერიუმებს, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობას, თანასწორობის პრინციპების დაცვას.

შეფასების ინსტრუმენტი: აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის ფორმა, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების კითხვარი (სემესტრული).

8.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები ეხება ადმინისტრირებისა და მართვის პროცესებს. პროცესების შეფასება, ანალიზი და რეაგირება. კვლევისთვის

გამოიყენება კითხვარები „რესურსებით და ადმინისტრირებით სტუდენტების კმაყოფილების კითხვარი“, „სტუდენტების კითხვარი საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შესახებ“, „სტუდენტის კითხვარი საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის შესახებ“, „რესურსებით, ადმინისტრირებითა და მხარდაჭერით პროფესორ-მასწავლებლების კმაყოფილების კითხვარი“, დოქტორანტების მიერ ადმინისტრირების, მხარდაჭერისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი“ და ა.შ.
ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი. შედეგების გამოყენების პროცედურა: პროცესი რეგულარული ხასიათისაა და გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხების შესახებ ანგარიში მიეწოდება შესაბამის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს შემდგომი რეაგირებისთვის, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

მუხლი 9. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

9.1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება ითვალისწინებს დადგენას - თუ რამდენად უწყობს ხელს არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას და საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას.
9.2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება მოიცავს შემდეგ ასპექტებს:
ა) შესრულების ინდიკატორებთან და სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებული მონაცემების რეგულარული შეგროვება, ანალიზი და დადგენა თუ რამდენად პასუხობს ეს შედეგები სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ბ) ჩატარებული შეფასებების შედეგების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების და/ან რჩევების შემუშავება და შესაბამის მხარესთან გაზიარება.
გ) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პერიოდული შეფასება, რომელიც ხორციელდება კონკრეტული მექანიზმის განხორციელების პირველი ციკლის დასრულების შემდეგ და კომპლექსური შეფასება ექვს წელიწადში ერთხელ, რომელიც გულისხმობს გამოყენებული ინსტრუმენტების გადახედვას დაინტერესებული მხარეებისა და გარე ექსპერტების ჩართულობით.

მუხლი 10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშგება და შედეგების გამოყენება

10.1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.
10.2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურს/სტრუქტურულ ერთეულს.

10.3. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს განხორციელებული რეაგირება და მოხდეს სამომავლოდ დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.
10.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაგეგმილი რეაგირებების შესრულებას მონიტორინგს უწევს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან და რექტორთან ერთად. დაგეგმილი აქტივობების შეუსრულებლობა დაგეგმილი აქტივობების შეუსრულებლობა ობიექტური გარემოების/მიზეზის არ არსებობის შემთხვევაში, ჩაითვლება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების მხრიდან ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად და შესაძლებელია მოჰყვეს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრება.
9.5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას.
9.6. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხოციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური მონაცემები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ წარედგინება რექტორსა და აკადემიური საბჭოს, მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისა და გაანალიზების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით.

დანართი 1

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ინსტრუმენტები

#	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	შეფასების ინსტრუმენტი	შედეგების გამოყენების პროცედურა
1.	**სწავლება-სწავლისა და სტუდენტთა მხარდაჭერის შეფასება**		
1.1.	***<u>რეგულაციები საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის:</u>*** საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა <u>**პროგრამების დაგეგმვის მეთოდოლოგია და პროცედურები**</u> <u>**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასების მექანიზმები**</u> <u>**პროგრამის მიხედვით სწავლების ხარისხის განვითარება**</u> <u>**პროგრამის მილევადობის მარეგულირებელი წესი**</u> სწავლების ხარისხის შეფასებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის ფორმა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამის/სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების ფორმა; სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარები; კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარები; დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარები; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარები; საგანმანათლებლო პროგრამის დანართი - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; კურსდამთავრებულის მიერ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი; დამსაქმებლის მიერ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი; საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასება. სტუდენტის კითხვარი საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის შესახებ; პროგრამის შეფასების კითხვარი დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის; პროგრამის შეფასების კითხვარი კურსდამთავრებულების მიერ.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვის შედეგების, ასევე პროგრამის ხელმძღვანელების შეფასებების საფუძველზე ადგენს გასაუმჯობესებელ მხარეებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შედეგების გაუმჯობესების მიზნით გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ ხდება პროგრამის განმეორებითი შეფასება. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ხდება გაუქმების მიზეზებისა და აუცილებლობის დასაბუთება, ამასთანავე სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძლებელის შესაძლებლობით უზრუნველყოფის შეფასება და დადასტურება. საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილებების განხორციელება: სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების, გამოყენებული ლიტერატურის, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმის და ა.შ. მოდიფიცირებას.
1.2.	უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების წესი; <u>**სასწავლო პროცესის წარმართვის წესი ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პირობებში**</u>	სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი; აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭირეობის კვლევის კითხვარი; რესურსებით, ადმინისტრირებითა და მხარდაჭერით პროფესორ-მასწავლებლების კმაყოფილების კითხვარი; დოქტორანტების მიერ ადმინისტრირების, მხარდაჭერისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი; რესურსებით და ადმინისტრირებით სტუდენტების კმაყოფილების კითხვარი;	სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დოკუმენტი და დოკუმენტით გაწერილი პროცედურები ექვემდებარება გადახედვას პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით.

1.3.	*საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფა:* აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია	საკონკურსო კომისიის უკუკავშირი; აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის ფორმა; სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების კითხვარი; პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ფორმა;	ა) აკად.პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შერჩევის პროცედურები გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით გადახედვას ექვემდებარება საკონკურსო ეტაპების ფარგლებში იდენტიფიცირებული პროცედურული ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებული ნაკლოვანებების შემთვევაში. ბ) პაკადემიური/სამეცნიერო პერსონალის შეფასების პროცესი რეგულარული ხასიათისაა და ითვალისწინებს სასწავლო ან/და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირების მუდმივ შეფასებას, განვითარებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მუდმივ ხელშეწყობას. შეფასებაზე დაყრდნობით ხორციელდება შეფასების შედეგებზე რეაგირება, რაც ითვალისწინებს პერსონალის წახალისებისა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენებას. გ) პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის შეფასება ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაო საათებს, პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის დაშვებული საათობრივი დატვირთვს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით დადგენილი სამიზნე ნიშნულებს და

			გამიზნულია განვითარებასა და მიღებული შედეგების პროგრამის გაუმჯობესების მიზნით უწყვეტად გამოყენებისკენ. აღნიშნულზე დაყრდნობით თითოეული პროგრამისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები დგინდება აკადემიური პერსონალის მინიმალური და მოწვეული პერსონალის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა
1.4.	<u>ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია</u> სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი; უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესი	შიდა/გარე მობილობის მონაწილე სტუდენტებისთვის კრედიტების თავსებადობის / აღიარების / ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ფორმა საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ფორმა; მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის ფორმა; სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი	შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის შეფასება ხდება მობილობით გადმოსული სტუდენტების და სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების გამოკითხვით. შეფასების საფუძველზე აღმოჩენილი ნაკლოვანებების შედეგად დოკუმენტი ექვემდებარება გადახედვას პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით.
1.5.	სტუდენთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი	სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის ფორმა; აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი; სტუდენტების კმაყოფილების კვლევის კითხვარი.	სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის ანალიზის საფუძველზე ხდება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შეფასება. გამოვლენილი ნაკლოვანებების შემთხვევაში ხორციელდება დოკუმენტის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები დადგენილი ნიშნულებისა და კონტინგენტის გამოთვლის პროცესების სრულყოფა/გაუმჯობესება პროგრამების

			თავისებურებების გათვალისწინებით.
1.6.	უნივერსიტეტის თეორიული კურსების შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები; სტუდენტის/კურსდამთავრებულის საშუალო ქულის დაანგარიშების წესი; ბრძანება – საგამოცდო პროცესების და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ სტუდენტის კარიერული განვითარება	სტუდენტების კმაყოფილების კვლევის კითხვარი. ლექტროთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი. რესურსებით და ადმინისტრირებით სტუდენტების კმაყოფილების კითხვარი;	კვლევის შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების და საგამოცდო პროცესების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის და ორგანიზაციის მართვის პროცესების მუდმივად გაუმჯობესების მიზნით. გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებას ახდენს შესაბამისი ფაკულტეტი. რეაგირების მიზნით გადადგმული და დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ ანგარიში ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
1.7.	სტუდენტათა, აკად. და მოწვ. პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროების კვლევები, სტუდენტის მიერ კურსის და ლექტორის შეფასება	შესაბამისი კითხვარები	კვლევის შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლების და საგამოცდო პროცესების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის და ორგანიზაციის მართვის პროცესების მუდმივად გაუმჯობესების მიზნით. გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებას ახდენს შესაბამისი ფაკულტეტი. რეაგირების მიზნით გადადგმული და დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ ანგარიში ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
1.8.	დრამის ფაკულტეტის საშემსრულებლო – შემოქმედებითი მიმართულების საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი კინო-ტელე ფაკულტეტის საშემსრულებლო – შემოქმედებითი მიმართულების საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი	საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის მიერ შეფასება; საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტის მიერ შეფასება; საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისიის მიერ შეფასების ფორმა.	საბაკალავრო ნაშრომების/პროექტების შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაშრომების/პროექტების ხარისხი და საყურადღებო მომენტები გაანალიზდება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაძლოა გადაიხედოს და დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულების მოთხოვნები და პროცედურები, რათა

			უზრუნველყოფილ იქნეს კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.
1.9	საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის დებულება	პრაქტრიკის დღიურის ფორმა; სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კითხვარი;	პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგად გამოვლენილი კომპონენტის შესრულების ხარისხი და საყურადღებო მომენტები გაანალიზდება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაძლოა გადაიხედოს და დაიხვეწოს პრაქტიკის შესრულების მოთხოვნები და პროცედურები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.
1.10.	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	სტუდენტების კითხვარი საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შესახებ; აკად. და სამეცნ. პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი; სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი; სტუდენტების/აკად. სამეც. პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში, პროექტებში, ფესტივალებში მონაწილეობის მაჩვენებელი.	სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი;
2.	**კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის, საზოგადეობაში ჩართულობის შეფასება (III მისია)**		
2.1.	აკადემიური პერსონალის აფილირების წესი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლის მიღების წესი დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფთა სავალდებულო ატესტაცია	აკადემიური და სამეცნიერო პეროსნალის კმაყოფილების/საჭიროების კვლევის კითხვარი	აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევისა და კვლევაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე აფილირების წესი ექვემდებარება გადახედვას პროცესების/პირობების/შედეგების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით.
2.2.	უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგია და სამეცნიერო	ა)სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და ფაკულტეტის სამეცნიერო ანგარიშის ფორმები; ბ)აკადემიური და მოწვეული	აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილებისა და საჭირების კვლევის

	[პროდუქტიულობის შეფასების წესი] [სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები და ფინანსური უზრუნველყოფა] [შემოქმედებითი აქტივობების მხარდაჭერის მექანიზმები და ფინანსური უსრუნველყოფა] **უნივერსიტეტის მესამე მისია:** **საზოგადოებრივი სარგებლის შექმნის სტრატეგია, მიდგომები და საქმიანობის შეფასების პრინციპები**	პერსონალის კმაყოფილების/საჭიროების კვლევის კითხვარი გ) ღონისძიების შეფასების ფორმა	შედეგების და ანგარიშების საფუძველზე ხდება მონაცემების ანალიზი. ანგარიში ითვალისწინებს როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ასევე, საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მონაცემებს. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით რეგულაციები ექვემდებარება გადახედვას მასში გაწერილი ხელშეწყობის პროცესების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.
2.3.	სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი; წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები; პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების წესი;	სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატზე შემოწმებისა შედეგების ფორმა; ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის ფორმა; ელექტრონული პლატფორმა - StrikePlagiarism.com	ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით მიღებული შედეგების და საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხების გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებთან, ინსტიტუტთან და სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით მუშაობს აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ამაღლებაზე.
2.4.	[სახელოვნებო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი] [დრამის ფაკულტეტის საშემსრულებლო – შემოქმედებითი მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი]	სამაგისტრო ნაშრომებზე დაწერილი რეცენზიები; სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატზე შემოწმებისა შედეგების ფორმა; ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის ფორმა; ელექტრონული პლატფორმა - StrikePlagiarism.com	სამაგისტრო ნაშრომების/შემოქ. პროექტების შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაშრომების/ პროექტების ხარისხი და საყურადღებო მომენტები გაანალიზდება და შესაბამისი ფაკულტეტების მიერ შესაძლოა გადაიხედოს და დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების მოთხოვნები და პროცედურები, რათა გაძლიერდეს საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში

			არსებული კვლევითი კომპონენტი და უზრუნველყოფილ იქნეს კვლევითი კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.
2.5.	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის წესი დოქტორანტობის კანდიდატების შეფასება სადისერტაციო საბჭოს დებულება დისერტაციის შეფასების წესი მხატვრული კვლევის სტრატეგია	დოქტორნატის მიერ ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი; დოქტორნატის მიერ დმინისტრირებისა და მხარდაჭერის შეფასების კითხვარი; სტუდენტთა მიერ კურსისა და ლექტორის შეფასების კითხვარი; დისერტაციის/შემოქ. პროექტის ხელმძღვანელის მიერ შეფასება; საბაკალავრო ნდისერტაციის/შემოქ. პროექტის რეცენზენტის მიერ შეფასების ფორმა; საბაკალავრო დისერტაციის/შემოქ. პროექტის სადისერტაციო კომისიის მიერ შეფასების ფორმა. დაცული დისერტაციების რაოდენობა;	დისერტაციების შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაშრომების/პროექტების ხარისხი და საყურადღებო მომენტები გაანალიზდება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაძლოა გადაიხედოს და დაიხვეწოს დისერტაციების შესრულების მოთხოვნები და პროცედურები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.
2.6.	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კითხვარი საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შესახებ; საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებითი პროექტების მაჩვენებელი; უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი; სტუდენტების და აკადემიური პერსონალის განმავითარებელი საერთაშორისო აქტივობების რიცხვი; უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებში/ ჟურნალებში განთავსების მაჩვენებელი და ა.შ.	
	სტუდენტათა/დოქტორანტთა, აკად. და მოწვ. პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროების კვლევები, სტუდენტის მიერ კურსის და ლექტორის შეფასება/	შესაბამისი კითხვარების ფორმები	

	დოქტორნატის მიერ ხელმძღვანელის შეფასება და ა.შ.		
3	**მართვის ეფექტიანობის შეფასება**		
3.1.	[უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესის შესახებ დებულება] [უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა] [პერსონალის მართვის პოლიტიკა] [საქმის წარმოების წესი] [უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასება] [ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა] [შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულება] [სოციალურად მოწყვლადი და შშმ სსსმ პირების მხარდაჭერის ინსტრუმენტები] [შრომის შინაგანაწესი] [თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი] [სტუდენტთა ეთიკის კოდექსი]	უნივერსიტეტის მართვის პროცესების შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი.	შედეგების გამოყენების პროცედურა: პროცესი რეგულარული ხასიათისაა და გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხების შესახებ ანგარიში მიეწოდება შესაბამის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს შემდგომი რეაგირებისთვის, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

<u>დანართი 2.</u>

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი განხორციელების პერიოდულობა (ხარისხის კვლევის ცხრილი)

კვლევის სამიზნე ჯგუფი	**კვლევის თემატიკა**	**კვლევის ჩატარების პერიოდი**
სტუდენტები	სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების კითხვარი	საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების ბოლოს
დამამთავრებელი კურსის სტუდენტები	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი	საგაზაფხულო სემესტრი
სტუდენტები	პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კითხვარი	საჭიროების შემთხვევაში
სტუდენტები	სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ხელშეწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კმაყოფილების კითხვარი	3 წელიწადში ერთხელ
დოქტორანტები	დოქტორანტების მიერ ადმინისტრირების, მხარდაჭერისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი	ყოველწლიურად, საგაზაფხულო სემესტრის ბოლოს
აკადემიური და მოწვეული პერსონალი	სასწავლო პროცესის ადმინისტრირებით, ხელშეწყობითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კმაყოფილების კითხვარი	3 წელიწადში ერთხელ
სტუდენტები/აკადემიური და მოწვეული პერსონალი	კითხვარი საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის შესახებ	ყოველწლიური
სტუდენტები/აკადემიური და მოწვეული პერსონალი	კითხვარი საერთაშორისო თანამშრომლობისა და	2 წელში ერთხელ

	ინტერნაციონალიზაციის შესახებ	
დამსაქმებლები	ბაზრის კვლევის (დამსაქმებელთა გამოკითხვის) კითხვარები შესაბამისი ფაულტეტების პროგრამების მიხედვით	4 წელიწაში ერთხელ
აკადემიური პერსონალი	წლიური ანგარიში	ყოველწლიურად
აკადემიური პერსონალი	კითხვარი აკადემიური პერსონალის პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის	2 წელიწადში ერთხელ
სტუდენტები	კმაყოფილების კითხვარი სასწავლო ტელევიზიის და სტუდიის ფუნქციონირების შესახებ	ყოველწლიურად
	სხვა	საჭიროების მიხედვით